ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№23-130401

ქ. თბილისი 13 აპრილი 2023 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ ს/კ 205297935 (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ლაშა გუნიას სახით და მეორე მხრივ, **შპს „ეიჩარ ჰაბი“** ს/კ 436042505 (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის **ანა ნავდარაშვილის** სახით, თითოეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად-მხარეებად, ვმოქმედებთ რა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ ადამიანური რესურსების მართვის სფეროს სამი წარმომადგენლისათვის (თამარ სხულუხია, თამთა თევზაძე და ნათია თუთარაშვილი) პროფესიული საქმიანობის სპექტრის გამრავალფეროვნების, მასში ინოვაციური მიოდგომების დანერგვის მიზნით, სატრენინგო მომსახურების (თემაზე: რა სურთ თანამშრომლებს“ და „ემოციური ინტელექტი და მოტივაცია), სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში - მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების საგნის კლასიფიკატორის კოდი: CPV80511000.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 255 (ორას ორმოცდათხუთმეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა განხორციელდება 2023 წლის 19 აპრილს.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ადგილია მ. ალექსიძის 12 .

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში;

ბ) განიხილოს მომსახურებასთან დაკავშირებით შემსყიდველის პრეტენზიები და გონივრულ ვადაში მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მოახდინოს მომსახურების შეზღუდვა ფორს-მაჟორული გარემოებების დროს, რომლის გასვლისთანავე უნდა განახორციელოს შეზღუდული მომსახურების აღდგენა;

გ) მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიიღოს მიმწოდებლისგან მომსახურება, თუკი ეს მომსახურება მიმწოდებლის მიერ განხორციელდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით;

ბ) აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის და პირობების შესაბამისად;
გ) მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებაში, რისთვისაც ის ვალდებულია მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა საჭირო ინფორმაცია, შეასრულოს მიმწოდებლის შესაბამისი მითითებები;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
4.5. ამ ხელშეკრულების ფარგლებში, პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, მიმწოდებელი პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს მიმწოდებლის მონაცემთა დამუშავებას.
4.6. ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის და მიმწოდებლის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მხარეს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს თანამშრომლის ინფორმირება, რათა მან დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 5. ინსპექტირება
5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება რათა გაწეული მომსახურება შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებს.
5.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსი თამარ სხულუხია,** ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
5.3. ინსპექტირებისას დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც კონფიდენციალურია ან/და კანონმდებლობის საფუძველზე ეკრძალება მიმწოდებელს მისი გამჟღავნება.

მუხლი 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი
6.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსი თამარ სხულუხია.

მუხლი 7. ანგარიშსწორება
7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
7.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა
8.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი, ასეთი

გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, გაფიცვებით, საბოტაჟით ან სხვა საწარმოო არეულობით, ეპიდემიით, წყალდიდობით, სამოქალაქო მღელვარებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრით, მეწყერების ჩამოწოლით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება წერილობით ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ურთიერთდახმარების პირობაზე. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, უფლებამოსილია მეორე მხარეს სთხოვოს დამატებითი ადამიანური/ტექნიკური რესურსის გამოყოფა ან სხვა სახის დახმარება.

8.5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა საკითხი, დავა და ურთიერთობა რეგულირდება, განიმარტება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი სადავო საკითხები მხარეთა შორის წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

11.2. ამ ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთმოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. შეტყობინების განხორციელება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ელექტრონული ფოსტის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96, ელ. ფოსტა: lpapelishvili@lta.gov.ge), თეონა ჯალაბაძე (ტელ.: 555 10-09-60, TJalabadze@lta.gov.ge), მიმწოდებლის მხრიდან ანა ნავდარაშვილი (ტელ.: 591 990107, ელ. ფოსტა: info@hrhub.ge).

13.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა და ინახება როგორც შემსყიდველთან, ისე მიმწოდებელთან.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	შპს „ეიჩარ ჰაბი“
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16	ს/კ: 436042505
საიდ. კოდი: 205297935	მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფ.
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ნავდარაანთკარი, მე–15 ქ., N 2
ბანკის კოდი: TRESGE22	მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
სახაზინო კოდი: 707217057	ბანკის კოდი: TBCBGE 22
	სახაზინო კოდი: GE86TB7766236080100006
დირექტორის მოადგილე	დირექტორი
ლაშა გუნია	ანა ნავდარაშვილი
Lasha Gunia 01025010715 Digitally signed by Lasha Gunia Date: 2023.04.13 16:09:45	Ana Navdarashvili Digitally signed by Ana Navdarashvili Date: 2023.04.18 12:59:24 +04'00'